

ერთობლივი პროგრამების განხორციელების

წესი

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1.1. წინამდებარე დებულება შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად და აწესრიგებს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ერთობლივი პროგრამების განხორციელების წესს, აგრეთვე აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს.

1.2. პროგრამა შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ დაწესებულებებთან: საქართველოს ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით.

1.3. პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ძირითადი პრინციპია გამჭვირვალობა და სანდოობა.

1.4. ერთობლივი პროგრამის დაგეგმვა-განხორციელება მოითხოვს პარტნიორი უნივერსიტეტების ერთობლივ ინიციატივას, თანამშრომლობას და ძალისხმევას.

1.5. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი და სპეციფიკა განისაზღვრება პარტნიორ უნივერსიტეტთა შორის მემორანდუმის საფუძველზე აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

1.6. საერთაშორისო ერთობლივ პროგრამას წარმოადგენს ერთობლივი პროგრამა, რომლის ერთი პარტნიორი მაინც არის უცხოეთის დაწესებულება.

მუხლი 2. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის დანიშნულება და მიზანი

2.1. მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურებზე. რომლებსაც ექნებათ სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესებისა და შესაბამისი ცვლილებების

მართვისათვის სათანადო ცოდნა და უნარ-ჩვევები. კონკრეტული მიზნები და ამოცანები კი განისაზღვრება შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებით.

თავი II. შეთანხმება ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე და ცვლილებების შეტანაზე

მუხლი 3. ერთობლივი პროგრამების განხორციელება და ცვლილებების შეტანა

3.1.აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი უფლებამოსილია საქართველოში აკრედიტებულ უნივერსიტეტებთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უნივერსიტეტებთან ერთობლივად განახორციელოს საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

3.2.ერთობლივი საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელება პარტნიორი უნივერსიტეტების მონაწილეობით წესრიგდება ამ უნივერსიტეტებთან დადებული მემორანდუმით თანამშრომლობისა და ერთობლივი კონკრეტული საფეხურის პროგრამის განხორციელების შესახებ.

3.3.საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის შეთანხმების საფუძველზე, უნივერსიტეტში დადგენილი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქციის მიხედვით, პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

3.4.უნივერსიტეტთაშორისი ერთობლივი პროგრამის განხორციელების პრინციპებია(ფორმებია):

- ა. ერთობლივი სწავლების ორგანიზება;
- ბ. ბაკალავრის, მაგისტრანტის, დოქტორანტის თანახელმძღვანელობა;
- გ. ერთობლივი ხარისხის მინიჭება

მუხლი 4. ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

4.1.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ქართველი და/ან უცხოელი ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი;

4.2.საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობს პარტნიორი უნივერსიტეტების შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პროფესორი;

4.3.საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია მისი განმახორციელებელი უნივერსიტეტების მოთხოვნების შესაბამისად.

- 4.4. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს პარტნიორი უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი, რომლებიც ახორციელებენ ინტენსიურ სალექციო კურსებს ან მათ სთავაზობს დისტაციურ სწავლებას.
- 4.5. პარტნიორი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (მკვლევარი) ხელმძღვანელობს/თანახელმძღვანელობს საბაკალავრო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებს;
- 4.6. ერთობლივი პროგრამა ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების გაცვლას;
- 4.7. ერთობლივი პროგრამა ითვალისწინებს ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭებას დიპლომზე ხელმოწერა ხდება პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე;
- 4.8. პროგრამის სწავლების ენა შეიძლება იყოს ქართული და/ ან უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტების შეთანხმების საფუძველზე;
- 4.9. პროგრამის კომპონენტები, რომლებიც განხორციელდება პარტნიორ უნივერსიტეტში მოდულები, საგნები, კვლევა, პრაქტიკა, ლექტორების მოწვევა და ა. შ.)
- 4.10. პარტნიორი უნივერსიტეტის ფინანსური მონაწილეობა ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში განსაზღვრულია მემორანდუმში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
- 4.11. ერთობლივი პროგრამის სტუდენტი ვალდებულია შესაბამისი პერიოდი ისწავლოს და გაიაროს პრაქტიკა პარტნიორ უნივერსიტეტში
- 4.12. ათვისებული კრედიტების ავტომატურად აღიარება.
- 4.13. დიპლომის დანართში აუცილებლად უნდა აღინიშნოს პარტნიორი უნივერსიტეტი.
- 4.14. ხელი შეუწყოს პარტნიორი დაწესებულების პერსონალს ასწავლოს/უხელმძღვანელოს პრაქტიკას უნივერსიტეტში.

თავი III. პროგრამის წარმოდგენა და დამტკიცება

მუხლი 5. პროგრამის წარმოდგენა და დამტკიცება

- 5.1. პროგრამის წარმოდგენა და დამტკიცება ხდება პარტნიორი უნივერსიტეტების აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიხედვით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე (იხილეთ დანართი # 1).

თავი IV. ერთობლივი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

6.1. ერთობლივი საბაკალავრო, სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში – პროგრამა) უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს:

ა) პროგრამის სახელწოდება (ქართულად/ან შესაბამის უცხო ენაზე);

ბ) პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები /;

გ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად ან შესაბამის უცხო ენაზე);

დ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით;

ე) სწავლების ენა;

ვ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელშიც განსაზღვრულია უნდა იყოს სტუდენტის მიერ კომპეტენციების გამომუშავების მექანიზმი და დასაქმების სფერო. პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მისიას, ნათლად იყოს

ჩამოყალიბებული, იყოს დასაქმების ბაზარზე (დასაქმების სფეროს განსაზღვრისას რეკომენდებულია აქტიური კონსულტაციები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რომ მათთან ერთად განისაზღვროს ის კონკრეტული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რაც მოეთხოვება კურსდამთავრებულს შრომის ბაზრის კონკრეტული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად) ორიენტირებული და მიღწევადი;

ზ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - განსაზღვრულ უნდა იქნეს პროგრამაზე ჩარიცხვის/დაშვების კონკრეტული წინაპირობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება გამჭვირვალობა და შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას;

თ) სწავლის შედეგი - განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციისა და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები აღიწერება ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციებით, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის (არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად;

ი) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები - უნდა აღიწეროს სწავლების რა მეთოდები იქნება გამოყენებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში;

კ) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა - უნდა აღიწეროს შეფასების ზოგადი სისტემა და ასევე კონკრეტული პროგრამისათვის ადეკვატური შეფასების მეთოდები (სხვადასხვა სასწავლო

კურსი/მოდული შეიძლება ითვალისწინებდეს შეფასების განსხვავებულ მეთოდებს, რაც დეტალურად უნდა აღიწეროს კონკრეტული სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსში);

ლ) საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა (სასწავლო გეგმა) - სასწავლო გეგმა მოიცავს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტის მინიჭება. კომპონენტის მითითებისას აღინიშნება: ა) სახელწოდება; ბ) მოცულობა კრედიტებით; გ) სტუდენტის დატვირთვის სახეები (საკონტაქტო - ლექცია/პრაქტიკუმი/ჯგუფში მუშაობა/სემინარი/ლაბორატორიული/პრაქტიკა და სხვ., შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის განკუთვნილი დრო და დამოუკიდებელი მუშაობა) გათვლილი ასტრონომიულ საათებში; დ) სწავლების სემესტრი; ე) კომპონენტზე დაშვების წინაპირობების მატრიცა;

სასწავლო გეგმას უნდა დაერთოს სწავლის შედეგების რუქა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით განსაზღვრულ კომპეტენციებთან (საგანმანათლებლო პროგრამის ფორმა მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ);

მ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ.

6.2. საგანმანათლებლო პროგრამებს უნდა ახლდეს:

ა) სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);

ბ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ (გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა, ხარისხი), ბიოგრაფიული მონაცემები (CV) დანართის სახით, რომელიც უნდა მოიცავდეს გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალს და განხორციელებულ აკადემიურ აქტივობებს;

გ) პროგრამის განხილვა-დამტკიცების აქტები სხვადასხვა საფეხურზე (დეპარტამენტი, ფაკულტეტის საბჭო).

დ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დადასტურება, რომ ლიტერატურა, რომელიც მითითებულია სილაბუსებში, ფიქსირდება ბეჭდური ფორმით, ან ამ ლიტერატურასთან წვდომა შესაძლებელია უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებით.

ე) პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვისა და პროგრამის კურსდამთავრებულებზე ბაზრის მოთხოვნის ანალიზი. საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება განახლებას. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

მუხლი 7. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

7.1. ბაკალავრიატის სწავლების საფეხური მოიცავს 240 კრედიტს.

7.2. ძირითად მაპროფილებელ სპეციალობას, რომელშიც ენიჭება სტუდენტს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, უნდა დაეთმოს მინიმუმ 120 კრედიტი.

7.3.საბაკალავრო საფეხურზე სპეციალობის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ, ისე სხვა ფაკულტეტებზე. რეგულირებადი პროფესიის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის შესაძლებელია დადგინდეს სპეციალური შეზღუდვები.

7.4.დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს შესაბამისად 360/300 კრედიტს.

7.5.სამაგისტრო პროგრამის მოცულობა განისაზღვრება 120 კრედიტის ოდენობით.

7.6.სამაგისტრო ნაშრომის წილი შესაძლოა იყოს 20-30 კრედიტი.

7.7.დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს;

7.8.სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო კომპონენტისაგან (60 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტისაგან (120 კრედიტი).

7.9.პროგრამაში მითითებული უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა.

7.10.რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებისა და კრედიტების განაწილება უნდა მოხდეს დარგობრივი სტანდარტის შესაბამისად (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 8. სწავლების ენა

8.1. პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ქართულ ან უცხოურ ენაზე.

8.2. პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლების ენა, პროგრამის შესაბამისად.

8.3. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

მუხლი 9. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სტატუსის მოპოვება

9.1. დაშვების წინაპირობის განსაზღვრის მიზანია პირის წინასწარი კომპეტენციების იდენტიფიცირება, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

9.2. საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი(საქართველოს მოქალაქეებისათვის). უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება კანონმდებლობის შესაბამისად.

9.3. უმაღლესი განათლების II საფეხურზე, მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობაა ერთიანი სამაგისტრო გამოცდა და საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში. უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება კანონმდებლობის შესაბამისად.

9.4. უმაღლესი განათლების III საფეხურზე, დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობაა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობასა და უცხო ენაში. B2 დონის საერთაშორისო სერთიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში კონკურსანტი თავისუფლდება უცხო ენის ჩაბარების ვალდებულებისაგან. უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება კანონმდებლობის შესაბამისად.

9.5. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საჭიროა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებით განსაზღვრული ექვივალენტური დოკუმენტის არსებობა. ("უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

9.6. ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.

9.7. დამატებითი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტების შერჩევის პროცედურა უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და სამართლიანი, რაც განისაზღვრება კონკრეტული პროგრამით ან სპეციალური (დამატებითი) საფაკულტეტო რეგულაციებით.

მუხლი 10. სწავლის შედეგი

10.1. სწავლის შედეგი უნდა ასახავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციისა და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ.

10.2. სწავლის შედეგებში უნდა აისახოს ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.

10.3. სილაბუსში უნდა მიეთითოს მხოლოდ ის კომპეტენციები, რომელთა გამომუშავებასაც მიზნად ისახავს შესაბამისი კომპონენტი.

10.4. პროგრამაში უნდა მიეთითოს ინფორმაცია დასაქმების სფეროებზე.

10.5. I და II საფეხურის პროგრამებში უნდა მიეთითოს ინფორმაცია სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებზე.

მუხლი 11. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

11.1. პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლების/სწავლის მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

თავი V. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსი

მუხლ 12. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსი

12.1.ერთობლივი პროგრამის განმახორციელებელ პარტნიორ უნივერსიტეტებს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 700 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ა.ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები;

ბ) დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას;

გ) დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;

დ) დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

და.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

და.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

და.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

და.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ე) დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის;

ვ) მატერიალური რესურსი, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის;

ზ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;

თ) დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, ასევე უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა;

ი) დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკის კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი;

კ) დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;

ლ) ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;

მ) უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევების დაფინანსება;

ნ) შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

მუხლი 13. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი

13.1.სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ:

ა) დაწესებულების აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, მკვლევართა და მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ბ) ავტორიზაციის მიზნებისთვის ერთი სრული პროფესორი ეთვლება მხოლოდ ერთ უნივერსიტეტს, მხოლოდ ორ სასწავლო უნივერსიტეტს, ან მხოლოდ ორ კოლეჯს, ან სასწავლო უნივერსიტეტსა და კოლეჯს, პროფესორის არჩევით; ხოლო ასოცირებული პროფესორი ეთვლება მხოლოდ ორ დაწესებულებას პროფესორის არჩევით. სრული ან ასოცირებული პროფესორის მიერ ორ ან მეტ დაწესებულებაში სრული ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავება მოწმდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორის მონაცემების შესაბამისად;

გ) დაწესებულებაში სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა განისაზღვრება დაწესებულების სახის მიხედვით:

გ.გ) უნივერსიტეტში – არა უმეტეს 11 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 50 სტუდენტზე, 12-იდან 24 საგანმანათლებლო პროგრამამდე განხორციელების შემთხვევაში – მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 60 სტუდენტზე, 24 და მეტი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში – მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 70 სტუდენტზე, არანაკლებ 25 სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორისა;

დ) საგანმანათლებლო პროგრამა არ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოწვეული პერსონალის, მკვლევრების ან მასწავლებლების მიერ;

ე) აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

ვ) აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, მკვლევრებთან და მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები/დანაშინის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VI. კვალიფიკაციის მინიჭება და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესი

მუხლი 14. კვალიფიკაციის მინიჭება

14.1. კურსდამთავრებულს მიენიჭება ერთობლივი აკადემიური ხარისხი, უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია, პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი სგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ერთობლივად. კურსდამთავრებულზე გაიცემა დიპლომი, რომელიც ადასტურებს ერთობლივ კვალიფიკაციას. დიპლომის დანართში ზუსტად გაიწერება თუ პროგრამის რომელი ნაწილის შესწავლა მოხდა პარტნიორ უნივერსიტეტში.

14.2. კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანებების, დიპლომისა და დიპლომის დანართის ერთდროული გაცემისა და მათი მომზადების პროცედურების წესს განსაზღვრავება უნივერსიტეტებში დადგენილი წესის მიხედვით (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშნული წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება №01-04/33 24.06. 2015 წ.).

14.3. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „ბაკალავრი“, შესაბამისი მიმართულების დარგის/სპეციალობის მითითებით.

14.4. მეორე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის და/ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით.

14.5. სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე.

14.6. მესამე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „დოქტორი“, მიმართულების ან/ და დარგის სპეციალობის მითითებით.

თავი VII ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა

მუხლი 15. პროგრამაში ცვლილებების შეტანა

15.1. ერთობლივ პროგრამაში ნებისმიერი სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილებების შეტანა ხდება უნივერსიტეტების აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიხედვით, რომელშიც მოცემულია აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესი და დამტკიცების ინსტრუქცია.

თავი VIII სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის განხორციელების პროცედურები

მუხლი 16. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

16.1. ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტის პირობები პარტნიორ უნივერსიტეტებს განსაზღვრული აქვთ წესდებაში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 17. მობილობის პროცედურები

17.1. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მობილობა წარმოადგენს პროგრამის მნიშვნელოვან მახასიათებელს. შესაბამისად აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს და პარტნიორ უნივერსიტეტებს შემუშავებული აქვთ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ან რექტორის ბრძანებით დამტკიცებული მობილობის შესაბამისი პოლიტიკა, რომლითაც განისაზღვრება მობილობის განხორციელების პროცედურები.

17.2. მობილობის პერიოდის აღიარება ხდება ავტომატურად.

თავი IX. სტუდენტის მიღწევების შეფასება, კრედიტის მინიჭება და აღიარება

მუხლი 18. შეფასება და კრედიტის მინიჭება

18.1. ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება (თანამედროვე ინდიკატორების გამოყენებით) ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (05.01.2007) და №785 (21.09.2009) ბრძანებების საფუძველზე.

18.2. პროგრამით გათვალისწინებულ კურსებში კრედიტის მიღება შესაძლებელია სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

18.3. სტუდენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

18.4. სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- ა) შუალედურ შეფასებას;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

18.5. დასკვნითი გამოცდა ფასდება არაუმეტეს 40 ქულით.

18.6. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

18.6. შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი.

18.7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

18.8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი არანაკლებ 10 დღეა.

18.9. კონკრეტული კრიტერიუმები და მოთხოვნები განისაზღვრება განმახორციელებელი უსდ-ს შეფასების სისტემების გათვალისწინებით და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით.

მუხლი 19. კრედიტების აღიარება

19.1. პარტნიორ უნივერსიტეტში წინასწარ შეთანხმებულ მოდულებზე მინიჭებული კრედიტები ავტომატურად აღიარებულია. წინასწარ მემორანდუმის საფუძველზე განისაზღვრება კრედიტების ტრანსფერი, წესი და ნიშნების შესაბამისობა.

თავი X .უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

მუხლი 20. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

20.1. სტუდენტებს ეძლევათ რეკომენდაცია, შეცვლის შემთხვევაში სწავლა განაგრძონ მოდიფიცირებულ სპეციალობაზე, ხოლო გაუქმების შემთხვევაში სწავლა განაგრძონ თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან მობილობის წესით გადავიდნენ სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

20.2. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში მოდიფიცირებულ ან თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველი სტუდენტების კრედიტების აღიარება მოხდება აწსუ-ში დადგენილი კრედიტების აღიარების წესის შესაბამისად.

20.3. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების (მაგალითად, საგნის დამატება, სპეციალიზაციის ჩანაცვლება, გაუქმება) შეტანის შემთხვევაში, ცვლილებები არ გავრცელდება საგანმანათლებლო პროგრამაზე რიცხული სტუდენტების მიერ უკვე გავლილ საგნებსა და მოპოვებულ კრედიტებზე;

20.4. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად და ვალდებულია:

ა) სტუდენტს შესთავაზოს ECTS (კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა) კრედიტებთან შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები;

ბ) სტუდენტს შესთავაზოს მობილური და მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება ისეთი სასწავლო კურსები/მოდულები, რომელიც სტანდარტული და რელევანტური იქნება სხვა პროგრამაში გადასვლის შემთხვევაში და მოხდება მაქსიმალური რაოდენობის კრედიტების აღიარება;

გ) საქართველოში არსებული აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათ მიერ რეალიზებული რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სტუდენტების ინფორმაციით უზრუნველყოფა;

დ) გააცნოს სტუდენტს მობილობის წესი, ვადები და პირობები.

20.5. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად და უფლებამოსილია:

ა) უზრუნველყოს სტუდენტები უცხოეთში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და მათ მიერ მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

ბ) სტუდენტის შუამდგომლობის საფუძველზე უშუალოდ აწარმოოს მოლაპარაკებები საქართველოში აკრედიტებულ იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის მსგავს საგანმანათლებლო პროგრამას და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სტუდენტის მობილობის უზრუნველსაყოფად.

20.6. თუ აწესი არ ახორციელებს გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას გავლილი პროგრამის ფარგლებში კრედიტების აღიარების თაობაზე გააფორმოს მემორანდუმი პარტნიორ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ გაუქმებულ ან მასთან თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე პროგრამას და სადაც შესაძლებელია გადავიდეს შეცვლილი/გაუქმებული პროგრამის სტუდენტი მობილობის წესით.

თავი XI. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სტუდენტების კონსულტირება

მუხლი 21. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სტუდენტების კონსულტირება

21.1.ერთობლივ პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია მკაფიოდ არის განსაზღვრული, უზრუნველყოფილია ინფორმაციის გავრცელება, პროგრამის აღწერა, მიღების წინაპირობები და პროცედურები, ცხოვრების პირობები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის/ხარისხის შესახებ, სწავლების ენის ცოდნის საკითხები, აღიარების საკითხები, თავსებადობა ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემასთან, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ხარისხი.

თავი XII .აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურა

მუხლი 22. პროგრამების შეფასების პროცედურა

22.1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესი ეფუძნება უნივერსიტეტის ფარგლებში რეგულარულად მიმდინარე შიდა შეფასებას, რომელიც ხორციელდება საგანმანათლებლო სფეროში არსებული სტანდარტებისა და უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად. ასეთი ტიპის შეფასება არის ძირითადი საშუალება, რომელიც წარმოაჩენს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს.

22.2. პროგრამის შეფასება ხელმძღვანელის მიერ: პროგრამის ხელმძღვანელი ყოველწლიურად აკეთებს თვითშეფასების ანგარიშს, სადაც აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად აანალიზებს პროგრამის განხორციელების ფაქტობრივ მდგომარეობას და აფიქსირებს პროგრამის შიდა და გარე შემფასებლების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შედეგად განხორციელებულ ქმედებებს; რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში აღწერს ობიექტურ ხელისშემშლელ პირობებს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვიზირების შემდეგ თვითშეფასების ანგარიში წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, რის შემდეგ გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და იგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

22.3. პროგრამის შეფასება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ: შეფასების პროცედურა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა გამოკითხვას;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
- პროგრამის განხორციელებელი აკადემიური პერსონალის გამოკითხვა;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა.
- შიდა შეფასების ანგარიშები(დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები).

გამოკითხვებსა და სტუდენტთა შედეგების მონიტორინგზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

გამოკითხვები ტარდება ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე, დადგენილი წესით, ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოსა და პროგრამის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის.

ფაკულტეტის საბჭოს მიერ რეკომენდაციების გაზიარების შემთხვევაში ის სავალდებულო ხდება განსახორციელებლად.

22.4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმების საფუძველზე უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი დარგის გარე ექსპერტები საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

22. 5. საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმება ხორციელდება ყოველწლიურად, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად პარტნიორი უნივერსიტეტების მონაწილეობით. საჭიროების შემთხვევაში დგინდება შემოწმების სხვა ინტენსივობა.

თავი XII დაფინანსება

მუხლი 23. დაფინანსების წყაროები

1. ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაფინანსება ხორციელდება სასწავლო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, სტიპენდიების, მიზნობრივი პროგრამების, ქველმოქმედებისა და თვითდაფინანსების ფორმით. კონკრეტულ შემთხვევაში დაფინანსების წყაროები განისაზღვრება პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.

თავი XIII .დასკვნითი დებულებები

მუხლი 24. დასკვნითი დებულებები

1. უნივერსიტეტში ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესი რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბოლონიის კონვენციის მოთხოვნების, უნივერსიტეტის შინაგანაწესის, დებულებების და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

2. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების

შემთხვევაში.

ხელშეკრულება ერთობლივი პროგრამის განხორციელება(შესრულების)

თაობაზე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და უნივერსიტეტი(სრული სახელწოდება) დებენ ხელშეკრულებას ერთობლივი(საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) პროგრამის(პროგრამის სახელწოდება) განხორციელების შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელები არიან სახელი, გვარი(აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და სახელი, გვარი(უნივერსიტეტი).

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდება პროგრამის შემდეგი კომპონენტები:

საგნები, კვლევა, პრაქტიკა

უნივერსიტეტში განხორციელდება პროგრამის შემდეგი კომპონენტები:

საგნები, კვლევა, პრაქტიკა

დაფინანსების კონკრეტული პირობები

(არსებობის შემთხვევაში)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტის რექტორი

ხელმოწერა

უნივერსიტეტის ბეჭედი

პარტნიორი უნივერსიტეტის რექტორი

ხელმოწერა

პარტნიორი უნივერსიტეტის ბეჭედი